

დავით სულაქველიძე

სისხლის სამართლის კანონის უკუქალის შესახებ – კომენტარი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე

*დავით სულაქველიძე
სამართლის დოქტორი.*

სისხლის სამართლის კანონის უკუქალის საკითხი პირდაპირ კავშირშია კანონის საგარანტიო ფუნქციასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონს სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად აკისრია აგრეთვე იმის მოვალეობაც, რომ იყოს პიროვნების ხელშეუხებლობის, ანუ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი რეპრესიის უსაფუძვლოდ გამოყენების თავიდან აცილების გარანტი. სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქცია, რომელიც ემყარება სისხლის სამართლის ფუძემდებლურ პრინციპს – „ნულლუმ ცრიმენ სინე ლეგე“ (არ არის დანაშაული კანონის გარეშე), განმტკიცებულია უწინარესად თვით სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი ნორმით. მხედველობაშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს: „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“. ამ ნორმის არსი და დანიშნულება სრულიად ცხადი და გასაგებია, რის გამოც თავს შეევიკავებ მისი კომენტირებისაგან და მხოლოდ იმას ავლნიშნავ, რომ ხსენებული პრინციპის ურყევობა, თავის მხრივ, განმტკიცებული და დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის მიხედვით, არავინ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად, არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული დანაშაულის ჩადენაში ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს. ანალოგიური ხასიათის დებულებები მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მე-11 მუხლის მეორე პუნქტი) და საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-15 მუხლის პირველი აბზაცი).

სისხლის სამართლის კანონის უკუქალის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია არა მხოლოდ ამჟამად მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (მე-3 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები), არამედ ანალოგიური ნორმები წარმოდგენილი იყო წინათ მოქმე-

დი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია), რომლის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები სისხლის სამართლის კანონის უკუძალის თაობაზე ადგენდა შემდეგს:

„კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდება იმ ქმედებაზეც, რომელიც ჩადენილია მის გამოცემამდე.

კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა არა აქვს”.

ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი (2007 წლის 3 ივლისის რედაქცია) კი ადგენს: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს”.

ამავე დროს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის რედაქციამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მისი მიღებიდან (1999 წლის 22 ივლისი) ამოქმედებამდე (2000 წლის 1 ივნისი). კერძოდ, მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქცია ასეთი შინაარსის იყო: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს”. ამ ნორმამ მასში 2000 წლის 5 მაისსა და 30 მაისს შეტანილი ცვლილებების (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 2000 წლის 5 მაისის საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #41(48), 1999 წელი, მუხ. 209; საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 2000 წლის 30 მაისის საქართველოს კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #41(48), 1999 წელი, მუხ. 209) შედეგად შეიძინა ამჟამინდელი შინაარსი, რომლის ახალი რედაქციიდან ამოღებულია მითითება ახალი კანონით დამნაშავის მდგომარეობის სხვაგვარად გაუმჯობესებისა და გაუარესების თაობაზე.

2007 წლის 30 მაისს, 2008 წლის 13 თებერვალსა და 2008 წლის 24 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა და საქართველოს ორმა მოქალაქემ სარჩელებით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლებითაც ისინი ითხოვდნენ საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას შემდეგი საფუძველით: სადაო ნორმით უკუძალა ენიჭება ისეთ ახალ სისხლის სამართლის კანონებს, რომლებითაც უარესდება ამ კანონების ამოქმედებამდე გარკვეული დანაშაულებრივი ქმედებების ჩამდენ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, ვინაიდან ახალი კანონებით ერთ შემთხვევაში გაიზარდა ხანდაზმულობის ვადა, ხოლო მეორე შემთხვევაში გამკაცრდა მსჯავრდებულთა მიმართ სასამართლოს მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის საჭირო პირობები. მოსარჩელეთა აზრით, აღნიშნულის გამო საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე

მუხლის მე-5 პუნქტს, რომელიც კრძალავს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას, თუკი იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პირის პასუხისმგებლობას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებაში მოცემული დებულება ნებისმიერ შემთხვევაში, კრძალავს ახალი დამამძიმებელი კანონისათვის უკუძალის მინიჭებას, თუკი ეს უკანასკნელი პირის პასუხისმგებლობას ეხება, ხოლო თვით პასუხისმგებლობის ცნება ამ შემთხვევაში უნდა განიმარტოს ფართო მნიშვნელობით, რომლითაც მოცული იქნება არა მარტო ქმედების დანაშაულად გამოცხადებისა და სასჯელის გამკაცრების შემთხვევები, არამედ ნებისმიერი სხვა შემთხვევაც, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს პასუხისმგებლობისა და მისი შედეგების სხვაგვარი ფორმით გამოვლენას. დაახლოებით ანალოგიური პოზიცია ეკავა იმ მოსარჩელესაც, რომლის მიმართ სააპელაციო სასამართლომ გაავრცელა ახალი კანონის მოქმედება, რომლითაც გამკაცრებულია პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის საჭირო პირობები, რის გამოც, მას მიუსაჯა თავისუფლების რეალურად აღკვეთა და შეუძლებლად მიიჩნია ამ სასჯელის მისთვის პირობით ჩათვლა სწორედ პირობითი მსჯავრის შესახებ მიღებულ ახალ ნორმაზე მითითებით.

მოტივები, რომლებიც ზემოაღნიშნული პოზიციის დასაბუთებისათვის მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა წარადგინეს საქმის განხილვისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, მდგომარეობს შემდეგში: მოსარჩელის – საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები თვლიან, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები მიმართულია მატერიალური სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმებისადმი და არა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებისადმი, რადგან პირის მიერ ჩადენილი ამა თუ იმ ქმედებისათვის პასუხისმგებლობას და მის ფარგლებს აწესებს მატერიალური სისხლის სამართალი. კონსტიტუციის ხსენებულ ნორმაში გამოყენებულ ტერმინში – „პასუხისმგებლობა“ იგულისხმება არა მხოლოდ ქმედების დანაშაულად გამოცხადება და ამ ქმედებისათვის სათანადო სასჯელის დაწესება, არამედ, ასევე განსაზღვრული საფუძვლით, პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც, რის გამოც კონსტიტუციის ზემოხსენებული ნორმა, რომელიც ადგენს უკუძალის მინიჭების შესაძლებლობას პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონისათვის, უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე სადაო ნორმა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც კანონის უკუქცევითი ძალის საკითხებს შემოსაზღვრავს მხოლოდ დანაშაულისა და სასჯელის კატეგორიებით. საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების აზრით, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულებები ეხება არა მხოლოდ იმ კანონების უკუძალის აკრძალვას, რომლებიც ქმედების დანაშაულებრიობას ადგენენ ან სასჯელს ამკაცრებენ, არამედ იმ კანონების უკუძალასაც კრძალავენ, რომლებიც სხვაგვარად აუარესებენ პირის მდგომარეობას. სწორედ ამ უკანასკნელ საკითხს ტოვებს ღიად სისხლის სამართლის კოდექსის სადაო ნორმა. ამასთან ერთად თუკი, მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სადაო ნორმის თავდაპირველი რედაქციიდან კანონმდებელმა ამოიღო სიტყვები – „ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას“, ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უკუძალა გააჩნია ყველა კანონს, თუ ის არ აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან არ ამძიმებს სასჯელს, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის სულისკვეთებას. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის წარმომადგენლების აზრით, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმის

მოქმედების სფეროში ხანდაზმულობის საკითხებიც შედის და მისი ნამდვილი აზრის შესაბამისად უნდა განისაზღვროს კანონის უკუქცევითი ძალის საკითხები სისხლის სამართლის კოდექსშიც, რითაც გამორიცხული იქნება პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე გასულია ხანდაზმულობის ძველი ვადა, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხანდაზმულობის ვადის გაზრდა მოხდა ძველი კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე.

მოსარჩელე ე. საბაურის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ სადაო სისხლის-სამართლებრივი ნორმის ამჟამინდელმა რედაქციამ საფუძველი შეუქმნა სააპელაციო სასამართლოს, მისი მოქმედება გაეგრძელებინა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში წარმოდგენილი მუხლების მიმართ და შესაძლებლად მიეჩნია მისი მარწმუნებლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის ახალი რედაქციის გამოყენება, რომელიც ამკარად ამძიმებს მის მდგომარეობას იმ თვალსაზრისით, რომ იგი პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის აწესებს უფრო მკაცრ პირობებს. მისთვის უკუძალის მინიჭება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტს, ვინაიდან პირობითი მსჯავრიც მიეკუთვნება პასუხისმგებლობის სფეროს, რომელსაც მოიცავს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა. შესაბამისად, კონსტიტუციით დადგენილ ფართო უფლებას – პირი დაცული იყოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონისათვის უკუძალის მინიჭებისაგან, სადაო სისხლისსამართლებრივი ნორმა ავიწროებს, რის გამოც ის ხარვეზიანია და წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან მასში ჩადებული ნამდვილი აზრისა და მის საფუძველზე განხორციელებული სასამართლო პრაქტიკის შედეგების გათვალისწინებით.

საქმეში მოპასუხედ ჩართული საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა, უარყვეს რა მოსარჩელეთა მოთხოვნა, მიუთითებს: როდესაც ხანდაზმულობის ძველი ვადის ამოწურვამდე ხდება ამ ვადის გაზრდა ახალი კანონით, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ურთიერთობა სახელმწიფოსა და ქმედების ჩამდენ პირს შორის აღარ არსებობს, რის გამოც ხანდაზმულობის ახალი კანონის უკუძალის საკითხზე მსჯელობა საერთოდ შეუძლებელია. იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი კანონით ხანდაზმულობის ვადის გაზრდა მოხდა ჩადენილი ქმედებისათვის დაწესებული ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ, თუკი ხანდაზმულობის ახალი ვადა იქნება გამოყენებული ქმედების ჩამდენი პირის მიმართ და ამ საფუძველით მას სასამართლო დააკისრებს პასუხისმგებლობას მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, ეს უდავოდ იქნება დამამძიმებელი კანონისათვის უკუძალის მინიჭება, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაც და სადაო სისხლისსამართლებრივ ნორმასაც, მაგრამ მოსარჩეულების მიმართ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ამასთან ერთად, მოპასუხის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კონსტიტუციურობის თვალსაზრისით შეფასების საგანი შეიძლება იყოს ის დებულება, რომელიც სადაო ნორმაშია ჩაწერილი. ამიტომ ის, რაც იქ არ წერია და რაც, მოსარჩეულების განცხადებით, ნორმას აკლია, კონსტიტუციურობის თვალსაზრისით შეფასებადი ვერ იქნება. ზემოაღნიშნული მოტივებიდან გამომდინარე, მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ არ არსებობს კანონიერი საფუძველი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობისათვის.

საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი დასკვნა წარუდგინა სპეციალისტმა ოთარ გამყრელიძემ, რომლის აზრით სადაო ნორმა უფრო ვიწრო შინაარსის მატარებელია, ვიდრე კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადება, ვინაიდან კონსტიტუციაში მოცემული ტერმინი „პასუხისმგებლობა“ ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც ქმედების დანაშაულებრიობას, ისე სასჯელსა და სხვა ღონისძიებებსაც, რომლებიც დამნაშავის სამართლებრივ მდგომარეობას ცვლიან. კონსტიტუციაში არსებული სიტყვები „ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას“, გულისხმობს არა მარტო ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმებას ან სასჯელის შემსუბუქებას, არამედ პასუხისმგებლობის გაუქმების სხვა შემთხვევებსაც. იგი მოიცავს ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის მარეგულირებელ ნორმებსაც და, შესაბამისად, თუკი ხდება აღნიშნული ინსტიტუტების მარეგულირებელი ისეთი კანონის მიღება, რომელიც ამძიმებს დამნაშავის მდგომარეობას, მას არ უნდა მიენიჭოს უკუძალა. ო. გამყრელიძის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველმა ნაწილმა კანონის უკუძალის აკრძალვის კონსტიტუციაში მოცემული პრინციპი დაავიწროვა, რადგან აპელირება მოახდინა მხოლოდ „ქმედების დანაშაულებრიობასა“ და „სასჯელზე“, რომლებშიც არ მოიაზრება ხანდაზმულობის ვადებისა და პირობითი მსჯავრის განმსაზღვრელი კანონები. სადაო ნორმა, პირდაპირი მნიშვნელობით, არ უტოვებს სამართალშემფარდებელს ნორმის სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობას. მისი აზრით, მოსამართლეს სადაო ნორმის სიტყვასიტყვითი გამოყენებისაკენ უბიძგებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მასში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოხდა სიტყვების – „ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას“ ამოღება. აღნიშნულ მოტივებზე დაყრდნობით, ო. გამყრელიძემ დაასკვნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებას, რის გამოც იგი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ სადაო ნორმის – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობაზე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის პოზიცია, რომელსაც ეფუძნება ხსენებული გადაწყვეტილება, რეზიუმირებული სახით შეიძლება ამგვარად იქნეს გადმოცემული: ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება უნდა მოვიაზროთ პასუხისმგებლობის გაუქმების ცნების იმ ზოგადი გაგების ფარგლებში, რომელზედაც მიუთითებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, ხოლო საკანონმდებლო ფორმულირება – „აუქმებს დანაშაულებრიობას“, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში, უნდა განიმარტოს ფართოდ და არა მხოლოდ მისი პირდაპირი გაგებით. ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ვინაიდან სადაო ნორმის შინაარსი არ გვიზღუდავს მისი უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტების შესაძლებლობას, ვიდრე მისი სიტყვა სიტყვითი განმარტებაა, ლეგიტიმურად უნდა იქნეს მიჩნეული ამ ნორმით დადგენილი აკრძალვის ქვეშე პიროვნების ინტერესების საწინააღმდეგოდ ახალი კანონისათვის უკუძალის მინიჭების სხვა შემთხვევების მოაზრებაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული სადაო ნორმის ფორმულირებაში. აღნიშნულის შესაბამისად მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ ხანდაზმულობის ახალი გაზრდილი ვადის გამოყენება, ანუ ახალი კანონის რეტროაქტიულობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ხსენებული ვადის გაზრდა მოხდა ძველი ვადის

ამოწურვამდე, ხოლო სადაო ნორმის მეორე წინადადებაში მითითებულ ფორმულირებაში – „აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას“, ამ უკანასკნელის ფართო გაგებით, უნდა ვიგულისხმეთ ხანდაზმულობის ახალი გადიდებული ვადის უკუძალით იმ ურთიერთობებზე გავრცელების აკრძალვა, რომლის მიმართაც უკვე გასული იყო ძველი კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია თავის გადაწყვეტილებაში მსჯელობს პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან დაკავშირებით გამკაცრებული კანონის უკუძალის თაობაზეც და აღნიშნავს: სასჯელის არაპირდაპირ გამკაცრებად უნდა ჩაითვალოს დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმება მისი ჩადენის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის გათვალისწინებული სასჯელთა სისტემაში, რადგან ის გავლენას ახდენს სასჯელზე. როდასაც პიროვნებას სასჯელის დაკისრებისას ესპობა ამ სასჯელის შემსუბუქების ის შესაძლებლობები, რაც მას ჰქონდა დანაშაულის ჩადენის დროს, ეს უნდა ჩაითვალოს სასჯელის გამკაცრებად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე, განყენებულად აღებული, სასჯელის როგორც ნორმატიული მოცემულობა, შეიძლება იგივე დარჩეს.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებაზე საქმის განხილვაში მონაწილე სამმა მოსამართლემ დაწერა განსხვავებული მოსაზრებები. მათ შორის მოსამართლე ქ. ერემაძის დასკვნით სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან ვერ ყალიბდება ცალსახა პოზიცია ნორმის განმარტების ფარგლებთან დაკავშირებით, რაზედაც მიუთითებს შემთხვევა, რომლის დროსაც სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებმა გამოავლინეს ურთიერთსაპირისპირო მიდგომები სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის იმავე კოდექსის ზოგადი ნაწილის სხვა ინსტიტუტების მიმართ მოქმედების თაობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაო ნორმა ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, რითაც სამართალშემფარდებელს აძლევს თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

გამოვხატავ რა პატივისცემას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიმართ, შევეცდები წარმოვადგინო ჩემი უფლები პოზიცია სადაო საკითხებზე, ამასთან მოკლედ შევაფასო საქმის განხილვაში მონაწილე სხვა სუბიექტების მიერ წარმოდგენილი შეხედულებები.

როდესაც დისკუსია ეხება მატერიალური სამართლის ამა თუ იმ დარგის ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას, ანუ მათ კონსტიტუციურობას, უპირველესად უნდა გაირკვეს თვით კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის ადეკვატური შინაარსი, მისი მოქმედების ფარგლები და ის სტანდარტები, რომლებსაც აწესებს იგი მატერიალური სამართლის სადაო ნორმის მიმართ. ამის აუცილებლობის წინაშე გარდაუვლად ვდგებით განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაფასებელია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამა თუ იმ ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის ნორმებთან, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის საფუძველთა საფუძველს, უმთავრეს გარანტიას თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც, ერთი მხრივ ადამიანს აძლევს იმის გარანტიას, რომ მის მიმართ არ იქნება გამოყენებული სამართლებრივი იძულება ან რეპრესია ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენისას სამართალდარღვევად არ ითვლებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ გარანტიას განამტკიცებს კანონის უკუძალის აკრძალვით ორი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. ცხადია, კონსტიტუციის ეს ნორმა პირველ რიგში ეხება სისხლისსამართლებრივ ნორმებს, მასვე ეფუძნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ნორმებიც. ამავე დროს, საჭიროა გაირკვეს, როგორია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედების ფარგლები. ვფიქრობ, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ აღნიშნული ნორმის პირველი წინადადების აზრი, რომელიც ადგენს – „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“, გაგებული უნდა იქნეს მასში მოცემული ტექსტის პირდაპირი და აბსოლუტური მნიშვნელობით, რომლის უფრო შეზღუდულად განმარტება არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება და, შესაბამისად ამისა, პრინციპი – „ნულლუმ ცრიმენ სინე ლეგე“ შეურყეველია ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში. მაგრამ დასაშვებია და შესაძლებელია თუ არა ანალოგიურ ფარგლებში კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების განმარტება სიტყვა სიტყვით, ანუ მის ტექსტთან ზუსტ შესაბამისობაში? ჩემი აზრით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდებით ყოვლად გაუმართლებელი პრობლემების წინაშე, ვინაიდან, თუნდაც იგივე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი ახალი ნორმები, რომელთა გამოყენება, მათ მიღებამდე ჩადენილი ქმედებისა თუ მისი ჩადენის მიმართ, გარდაუვალი გახდეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება არც აუქმებდეს და არც ამსუბუქებდეს პასუხისმგებლობას. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება კანონის ნამდვილი უკუძალა. მაგალითად, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ იმ სასჯელთა შეცვლისა და შეჯამების დროს, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე სასჯელის ჩათვლისას შეიძლება სასჯელის ვადის გამოანგარიშება დღეებით. წინათ მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 43-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომელიც ანალოგიურ საკითხებს არეგულირებდა, სასჯელის ჩათვლისას სასჯელის ვადის დღეებით გამოანგარიშების წესი არ იყო გათვალისწინებული. ცხადია, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ამჟამად მოქმედი კოდექსის ხსენებული ნორმა, რომელიც პასუხისმგებლობას არც აუქმებს და არც ამსუბუქებს, გამოყენებულ უნდა იქნეს იმ პირთა მიმართაც, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს ახალი კოდექსის ამოქმედებამდე – 2000 წლის 1 ივნისამდე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონის ასეთი „უკუძალა“ ვერ მოთავსდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების ფარგლებში, რომლის მიხედვით – „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს“, თუკი ეს წინადადება განმარტებული და გაგებული იქნება მასში მოცემულ ტექსტთან ზუსტ შესაბამისობაში. ზემოაღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი ნორმები ყოველთვის მოქმედებენ უკუძალით, მიუხედავად იმისა ისინი აუარესებენ თუ აუმჯობესებენ პირის საპროცესო მდგომარეობას წინათ მოქმედ საპროცესო ნორმებთან შედარებით (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი).

ამრიგად, სამართლებრივად სრულიად ლოგიკურია დავასკვნათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი ეხება მხოლოდ იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის სფეროს იმ გაგებით, რომ ისინი ამა თუ იმ სახის სამართალდარღვევის ჩადენისათვის აწესებენ პასუხისმგებლობას, ათავისუფლებენ მისგან ანდა ამსუბუქებენ ან ამკაცრებენ პასუხისმგებლობას. ამრიგად, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა მთლიანობაში განმარტებულ უნდა იქნეს უფრო ვიწროდ, ვიდრე მისი სიტყვა სიტყვითი ტექსტი, ამიტომ, სრულიად კანონზომიერად, უნდა ვადიაროთ, რომ მისი მოქმედება ვრცელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ ნორმებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებზე, ზომებსა და ფარგლებზე, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებაზე, ანდა ასეთი პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე ან შემსუბუქებაზე.

ანალოგიური სისხლისსამართლებრივი ნორმების მიმართ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა და მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მოქმედებაც, რომლებიც, თავის მხრივ, თანხმობაში უნდა იყვნენ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ ნორმებთან.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ გარანტიებზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ იგი ნიშნავს სამართალდარღვევის, მათ შორის დანაშაულის ჩამდენი პირის უსაფუძვლო და გადამეტებული რეპრესიისაგან დაცვისათვის განსაზღვრული მინიმალური სტანდარტის დადგენას, რომელიც იქნება შესასრულებლად სავალდებულო და ამ სტანდარტით სახელმწიფოს ბოჭვას, რაზედაც დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის ჩამდენ პირს შეუძლია იქონიოს ლეგიტიმური მოლოდინი.

ასეთ მინიმალურ და შესასრულებლად სავალდებულო სტანდარტად სისხლისსამართლებრივ სფეროში კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ შემდეგი ორი გარანტია: პირველი ის, რომ პირი არ დაისჯება იმ ქმედებისათვის, რომელიც კანონით დანაშაულად არ ითვლებოდა მისი ჩადენისას; მეორე ის, რომ პირი ჩადენილი დანაშაულისათვის არ იქნება დასჯილი იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ამას ითვალისწინებდა დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონი. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული გარანტიები შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კანონით პირდაპირ, ცალსახად განსაზღვრულ და რეალურად არსებულ დასჯადობას, ამ უკანასკნელის ზომებსა და ფარგლებს, აგრეთვე დასჯადობასთან დაკავშირებულ შეღავათებსა თუ სხვა პრივილეგიებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონით გათვალისწინებული იყო როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის გარდაუვალი, აუცილებელი უფლება და არა როგორც ისეთი სავარაუდო (სამომავლო) უფლება, რომლის მოპოვება და მომავალში რეალურად არსებობა დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა, წინასწარ გაუთვალისწინებელ ფაქტორსა თუ გარემოებაზე, რომელთა გამოც აღნიშნული უფლება პირის სასარგებლოდ რეალურად შეიძლება წარმოიშვას და შეიძლება არც წარმოიშვას. ამასთან ცხადია, რომ, თუკი დანაშაულის ჩამდენმა პირმა კანონით გათვალისწინებული რიგი პირობების განხორციელების შედეგად უკვე რეალურად შეიძინა კანონით სამომავლოდ გათვალისწინებული უფლება რაიმე შეღავათზე ან სხვაგვარ სამართლებრივ პრივილეგიაზე, ამ მიმართებით შემდგომში მისთვის

საუარესო საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში უკვე მოპოვებული შედეგითა თუ პრივილეგიით სარგებლობის უფლება პირს ვერ შეეზღუდება.

ამ პოზიციის ნათელსაყოფად მოვიტანთ შემდეგ მაგალითს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით დადგენილია სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულისათვის მსჯავრდებისას ნასამართლობის გაქარწყლების ვადები. ნასამართლობა, როგორც სამართლებრივი შედეგი, უკავშირდება დასჯადობას. თუკი კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გამო მსჯავრდებული პირის მიმართ ამოიწურა მოქმედი კანონით ნასამართლობის გაქარწყლებისათვის დადგენილი ვადა, რის შედეგადაც მან მოიპოვა უფლება იწოდებოდეს ნასამართლობის არმქონედ, ამის შემდგომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით იმავე დანაშაულისათვის ნასამართლობის ვადის გაზრდის შემთხვევაში, ამ ახალი ვადის გავრცელება უკვე ნასამართლობაგაქარწყლებული პირის მიმართ არ დაიშვება. მაგრამ, თუკი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად კონკრეტული კატეგორიის დანაშაულთან დაკავშირებით ნასამართლობის გაქარწყლებისათვის საჭირო ვადა გაზრდილი იქნება მანამდე, ვიდრე ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ამოიწურება წინათ დადგენილი ვადა, ასეთ შემთხვევაში, ამ პირის მიმართ გავრცელდება ნასამართლობის გაქარწყლებისათვის დადგენილი ახალი ვადა, რადგან არავის არ შეიძლება ჰქონდეს ჯერ კიდევ მოსაპოვებელი უფლების შესაძენად დადგენილი პირობების უცვლელობის კანონიერი მოლოდინი, ვინაიდან ეს იქნება საჯარო ხელისუფლების ისეთი გაუმართლებელი და გადაჭარბებული შეზღუდვა, რომელიც ვერაინაირად ვერ ჩაჯდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ჩარჩოებში. ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ თუკი საჯარო ხელისუფლება თავისი ნებით გამოიჩინს უფრო ფართო მასშტაბით თვითშეზღუდვის ინიციატივას, ვიდრე ამას ითვალისწინებს კონსტიტუციის ხსენებული ნორმით დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო სტანდარტით განსაზღვრული მინიმუმი, ხოლო ასეთი ინიციატივის რეალიზაციას იგი მოახდენს საკანონმდებლო გზით ანდა იურიდიულ პრაქტიკაში შესაბამისი ნორმების შინაარსის პირის სასარგებლოდ უფრო ფართო განმარტების მეშვეობით, ეს უკვე მის დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს. ამასთან, სახელმწიფოს მხრივ ნებისმიერი ასეთი თვითშეზღუდვა პიროვნების სასარგებლოდ, რომელშიც თავის გამოხატულებას პოვებს ქვეყანაში გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, სრულ თანხმობაში იქნება კონსტიტუციის იმ ზოგად სულისკვეთებასთან, რომელიც მიმართულია სამართლებრივი სისტემის ლიბერალიზაციისაკენ.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ნორმათა ძირითადი საგარანტიო ფუნქცია და მათი მოქმედების ფარგლები, უნდა გაირკვეს: თანხმობაშია თუ არა მასთან მოსარჩევეების მიერ სადაოდ გამხდარი სისხლისსამართლებრივი ნორმა – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ხომ არ უშლის იგი ხელს მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში კონსტიტუციის ხსენებული ნორმით გათვალისწინებული გარანტიების სრულფასოვან ფუნქციონირებას. როგორც აღინიშნა, ამ გარანტიათაგან პირველი მდგომარეობს იმაში, რომ პიროვნება არ იქნეს დასჯილი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენისას დანაშაულად არ ითვლებოდა. ამ აუცილებელი პირობის შესრულებას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი და მასთან ერთად ამავე კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომელიც ადგენს: სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, უკუძალა არა აქვს, რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ პირი ნებისმიერ შემთხვევაში დაზღვეულია სისხლისსამართლებრივი რეპრესიისაგან არადასჯადი ქმედებისათვის როგორც კონსტიტუციის ხსენებული ნორმით, ისე მისი შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმით.

ახლა განვიხილოთ, სადაო სისხლისსამართლებრივი ნორმა უზრუნველყოფს თუ არა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმით გარანტირებულ უფლებას – პირი არ იქნეს დასჯილი უფრო მკაცრად, ვიდრე ამას ითვალისწინებდა ის სისხლის სამართლის კანონი, რომელიც მოქმედებდა პირის მიერ ქმედების ჩადენის დროს. ასეთი უფლება ნამდვილად დაცულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებათ, რომელიც პირდაპირ ადგენს: კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუშალა არა აქვს. ამით გამოირიცხება პირის მიმართ კანონით წინასწარ გაუთვალისწინებელი უფრო მძიმე სისხლისსამართლებრივი რეპრესიის გამოყენება ნებისმიერი ისეთი საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში, რომლის შედეგად სასჯელი მკაცრდება, ანუ იზრდება მოსახდელი სასჯელის ზომა, უფრო მსუბუქი სასჯელის სახე იცვლება უფრო მკაცრით, მძიმდება დანიშნული სასჯელის მოხდის პირობები და სხვა. პირს ლეგიტიმური მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ამგვარი რეპრესიისაგან დაცვის უზრუნველყოფი იმუნიტეტის თაობაზე, მაგრამ ეს იმუნიტეტი ვერ იქნება ისეთი ფართო მასშტაბისა და საყოველთაო ხასიათისა, როგორც ეს წარმოუდგენიათ ზემოხსენებულ საქმეში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს, ასევე საქმეზე მოწვეულ სპეციალისტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოთქმული განსხვავებული აზრების ავტორებს, რომლებიც, ახდენენ რა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში მოხსენიებული ტერმინის – „პასუხისმგებლობის“ ინტერპრეტაციას, მას ანიჭებენ უფრო მეტ დატვირთვას, ვიდრე შეიძლება ჰქონდეს, მისი რეალური დანიშნულებიდან გამომდინარე. მისი რეალური დანიშნულება კი მდგომარეობს იმაში, რომ კონსტიტუციის აღნიშნული საგარანტიო ნორმით მოცული იყოს სამართლის ყველა დარგში დადგენილი იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლები, ზომები და ფარგლები და არა მხოლოდ სისხლის სამართალში გამოყენებული ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა „ქმედების დანაშაულებრიობა“, „დასჯადობა“ და „სასჯელი“. რა თქმა უნდა, მითითებულ კონსტიტუციურ ნორმაში ნახსენები ტერმინი „პასუხისმგებლობა“ სისხლის სამართალთან მიმართებაში, გარდა კონკრეტული სასჯელების სახეებისა და ზომებისა, მოიცავს სისხლისსამართლებრივ დასჯადობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა დანიშნული სასჯელისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამავე დროს, ამ უკანასკნელთა მოუხსენიებლობა სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში და ამ ნაწილის მეორე წინადადებაში არ ნიშნავს იმას, რომ ამით ვიწროვდება სისხლის სამართლის სფეროში კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედების არეალი. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ვერ განიხილება კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისაგან იზოლირებულად, ისინი ერთობლიობაში უნდა იქნეს წაკითხული და გააზრებული, ხოლო მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მოხმობილი ტერმინი „დასჯადობა“ მოიცავს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელთაც შეიძლება შეეხებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ოღონდ საჭიროა იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა საკითხებს ეხება აღ-

ნიშნული სამართლებრივი ნორმები და რას არა, ანდა დასახელებულ ამა თუ იმ საკითხს რა შემთხვევაში შეიძლება შეეხოს და რა შემთხვევაში არა.

აღნიშნული პოზიციის მეტი სიცხადისათვის მოვიტან შემდეგ მაგალითებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილი 2001 წლის 19 ივნისის რედაქციით ადგენდა, რომ ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, შეიძლებოდა დანიშნულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქციით. 42-ე მუხლის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით კი ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, შეიძლება დანიშნოს მაშინაც, როცა იგი გათვალისწინებული არ არის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის სანქციით. უდავოა, რომ ამ უკანასკნელის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა 42-ე მუხლის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე, ვინაიდან ასეთი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტსაც და სადაო სისხლისსამართლებრივ ნორმასაც. ახლა ავიღოთ სხვა მაგალითი: სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლი განსაზღვრავს დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლების პირობებს, რომლის მიხედვით საამისოდ აუცილებელია სასამართლომ მიიჩნიოს, რომ მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, ამასთან, პირს უკვე მოხდილი უნდა ჰქონდეს დანიშნული სასჯელის კანონით გათვალისწინებული ნაწილი, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შეადგენს დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარს. დავუშვათ, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ეს ვადა გაიზარდა მოსახდელი სასჯელის ვადის სამ მეხუთამდე, რაც პირობების დამძიმება იქნება. მიეცემა თუ არა უკუძალა ახალ პირობას იმ მსჯავრდებულის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებამდე? ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: ერთ შემთხვევაში შეიძლება მიეცეს უკუძალა, ხოლო სხვა შემთხვევაში – არა. კერძოდ, თუკი მსჯავრდებულის ახალი კანონის მიღებამდე უკვე გათავისუფლებული იყო ვადამდე პირობით და იმყოფებოდა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, მის მიმართ ახალი დამძიმებული პირობის მოქმედება ვერ გავრცელდება. მაგრამ, თუ მსჯავრდებულის ახალი კანონის ამოქმედებისას, ჯერ კიდევ რეალურად იხდიდა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მის მიმართ ახალი კანონის მოქმედება, რომელიც სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლებისათვის აწესებს უფრო მძიმე პირობას, ვიდრე მანამდე იყო, გავრცელდება, რადგან მოცემულ შემთხვევაში პირს არ გააჩნდა კანონით წინასწარ დადგენილი გარდაუვალი უფლება დანიშნული სასჯელის განსაზღვრული ვადის მოხდის შემდეგ სასჯელისაგან ვადამდე აუცილებელი და უპირობო გათავისუფლებისა, რამეთუ ასეთი უფლების მოპოვება მთლიანად იყო დამოკიდებული სხვადასხვა გარემოებების ერთობლიობაზე და მათ შორის სასამართლოს შეხედულებაზე – მიიჩნევა თუ არა იგი, რომ პიროვნება გამოსწორდა და სასჯელის მიზანი მიღწეულია.

ანალოგიურად უნდა მიუვდგეთ კანონის უკუძალას იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადასაწყვეტია საკითხი – დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ უნდა გავრცელდეს თუ არა ახალი კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის გაზრდილი ვადა, ანდა პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის საჭირო უფრო მკაცრი და შემზღუდველი პირობები, ვიდრე მანამდე იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ წინა კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო და ამით პირს უკვე რეალურად ჰქონდა მოპოვებული პა-

სუბსიდეგლობისაგან გათავისუფლების კანონით გარანტირებული უფლება, ასევე, როდესაც პირის მიმართ უკვე გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი წინა კანონით გათვალისწინებული უფრო შეღავათიანი პირობების საფუძველზე, ასეთი პირების მიმართ ახალი კანონის მოქმედების გავრცელება და მათი მდგომარეობის საუარესოდ შებრუნება არ დაიშვება. და პირიქით, თუკი ახალი კანონით ხანდაზმულობის ვადის გაზრდა და პირობითი მსჯავრის გამოყენებისათვის საჭირო პირობების დამძიმება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ მოხდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გასული წინა კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობის უფრო მცირე ვადა, ანდა ასეთ პირს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეფარებული პირობითი მსჯავრი წინანდელი შეღავათიანი პირობების საფუძველზე, მათ მიმართ გავრცელება ახალი კანონით დადგენილი პირობები. ამგვარი რამ არ შეიძლება ჩაითვალოს კანონის ნამდვილ უკუძალად, მისგან დაცვის გარანტიას არ ადგენს არც კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი და არც სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან ორივე ეს ნორმა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პირისათვის ადგენენ და უზრუნველყოფენ მხოლოდ დაცვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტს, რომლის ქვემოთ დაშვება აღარ შეიძლება. მხოლოდ ასეთი სტანდარტის ურყეობის გარანტიას იძლევიან ისინი ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილების შემთხვევაში, ხოლო ეს მინიმალური და გარანტირებული სტანდარტი მდგომარეობს იმაში, რომ: ა) პირი არ დაისჯება ისეთი ქმედებისათვის, რომელიც კანონით დანაშაულად არ ითვლებოდა მისი ჩადენისას; ბ) პირი არ დაისჯება იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონით.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: ასეთი პოზიცია ხომ არ ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში დადგენილ დებულებას, რომლის მიხედვით ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ქმედების ჩადენისას? თუკი აღნიშნულ დებულებას განვმარტავთ სიტყვა სიტყვითი მნიშვნელობით, მაშინ ხსენებულ წინააღმდეგობაში მართლაც აღმოვჩნდებით, მაგრამ ეს იქნება ნორმის არასწორი გაგება, რადგან ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონში შეტანილ, პირისათვის სასიკეთო ცვლილებას ვერ გავავრცელებთ უკუძალით, თუკი იგი არ იქნება გამოხატული უშუალოდ ქმედების დასჯადობის გაუქმებაში ან სასჯელის შემცირებაში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე პირდაპირი მითითება სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში არ არსებობს, პირის სასიკეთოდ კანონში შეტანილ ცვლილებას ეძლევა უკუძალა. ასეთი მიდგომა აღიარებული და დამკვიდრებულია სასამართლო პრაქტიკაში და იგი არავითარ გაუგებრობასა და დავას არ იწვევს, რადგან სრულიად ნათელია, რომ არავის არ შეუძლია პირს შეუზღუდოს იმ სიკეთით სარგებლობის უფლება, რომელიც მას სახელმწიფომ თავისი კეთილი ნებით უბოძა, როგორც მისი აუცილებელი და გარდაუვალი უფლება.

მართალია, სახელმწიფო კონსტიტუციით და კანონით შებოჭილია პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის მიმართებით, მაგრამ ასეთი შეზღუდვა არ შეიძლება იყოს გაუმართლებელი და გადაჭარბებული. სწორედ ამიტომ კონსტიტუცია სახელმწიფოს უწესებს მხოლოდ იმ აუცილებელ ზღვარს, რომლის იქით გადაბიჯების უფლება, პიროვნების ინტერესების საზიანოდ, მას არა აქვს. მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში ასეთი ზღვარი დადებულია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტითა და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილით, რომელთა სწორად განმარტებისა და გააზრების,

აგრეთვე მათი ურთიერთმიმართების სწორად გარკვევის შემთხვევაში, მათ შორის წინააღმდეგობას ადგილი ვერ ექნება. ამიტომ ვფიქრობ, რომ სადაოდ გამხდარი სისხლისსამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი არ არსებობს და საკონსტიტუციო სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელების განხილვის ზოგიერთი მონაწილის მიერ გამოითქვა მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქციით, გარდა ამჟამად გათვალისწინებული შემთხვევებისა, კანონს უკუძალა ენიჭებოდა მაშინაც, თუ იგი სხვაგვარად აუმჯობესებდა დამნაშავის მდგომარეობას, ხოლო კანონის უკუძალა იკრძალებოდა, თუ იგი სხვაგვარად აუარესებდა დამნაშავის მდგომარეობას. ასეთი რედაქციის შენარჩუნებით და შემდგომში ასეთი რედაქციით სადაო ნორმის მოქმედების შემთხვევაში თითქოსდა თავიდან იქნებოდა აცილებული ის პრობლემები, რაც, მათი აზრით, ამჟამად ახლავს სასამართლო პრაქტიკაში მის გამოყენებას და რომელთა გამო სასამართლოები იღებენ არასწორ გადაწყვეტილებებს ახალი დამამძიმებელი კანონისათვის უკუძალის მინიჭებით.

აღნიშნულ მოსაზრებებს ვერ დავეთანხმები, რადგან ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველ ნაწილს თავდაპირველი რედაქციით არასდროს უმოქმედია, რადგან ზემოხსენებული ფრაზები „დამნაშავის მდგომარეობის სხვაგვარად გაუმჯობესებისა და გაუარესების“ შესახებ სადაო ნორმის აღნიშნული რედაქციიდან ამოღებულ იქნა ჯერ კიდევ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებამდე – 2000 წლის 1 ივნისამდე. გარდა ამისა მიმაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქციით მოქმედების შემთხვევაშიც, მისი დანიშნულებისა და ფუნქციების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან მისი მიმართების სწორად გარკვევისა და გააზრების შედეგად სასამართლოებს, ზემოთ განხილული გარემოებების გათვალისწინებით, იგივე გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ ხანდაზმულობისა და პირობითი მსჯავრის შესახებ მოქმედი ახალი ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელთა გამოც მოსარჩელებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოთქმული განსხვავებული აზრების ავტორთა პოზიციებს სადაო ნორმის არაკონსტიტუციურობის თაობაზე, აგრეთვე იმის შესახებ, რომ სასამართლოების მიერ სადაო ნორმის სწორად განმარტების შემთხვევაში არ იქნებოდა მიღებული ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენეს დამამძიმებელი კანონისათვის უკუძალის მინიჭების აკრძალვის შეუქცევადობა, რამაც შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის „უკვდავებაც“ კი გამოიწვიოს, რადგან ასეთი დასკვნებისათვის რეალურად არ არსებობს მართლზომიერი საფუძველი. საყურადღებოა, რომ სარჩელების განხილვაში მონაწილე სპეციალისტის, ო. გამყრელიძის აზრით სასამართლოებმა სადაო ნორმა განმარტეს მისი მოქმედი რედაქციის ნამდვილ აზრთან ზუსტ შესაბამისობაში, თუმცა მისივე აზრით, აღნიშნული ნორმის რედაქცია სისხლისსამართლებრივ სფეროში ავიწროებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედების არეალს, რითაც იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები

იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომელთა თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრე და აქ ხელახლა აღარ გავიმეორებ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ სარჩელების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მის სამოტივაციო ნაწილში გვხვდება ისეთი მოსაზრებებიც, რომლებიც წმინდა სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის პოზიციიდან შესაძლოა სადაო იყოს, მაგრამ, ვინაიდან ისინი არსებითად გავლენას არ ახდენენ საბოლოოდ მიღებულ სწორ გადაწყვეტილებაზე, მათ ცალკე აღარ შევხებით.

ბოლოს მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ შემდეგ გარემოებაზე: საკითხები, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი გახდა, სინამდვილეში წარმოადგენენ არა სისხლის სამართლის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხებს, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხებს, რომელთა ამა თუ იმ სახით გადაწყვეტა უკავშირდება მოცემულ ეტაპზე ქვეყნის ცხოვრების მრავალ ფაქტორს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენენ სამართლებრივ სისტემასა და მის ფუნქციონირებაზე, რაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარე ფაქტორებზეც, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შეერთების შედეგად საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე და ა.შ. ისევე როგორც სახელმწიფო, სისხლის სამართლის პოლიტიკაც შებოჭილია კონსტიტუციით პიროვნებასთან მიმართებაში, მაგრამ ეს ბოჭვა ვერ გაცდება შესასრულებლად სავალდებულო მინიმუმს, საყოველთაოდ აღიარებულ და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით მიღებულ სტანდარტებს. ამიტომ, თუკი სახელმწიფო, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობით არ ადგენს და ამის გამო სასამართლოც მართლმსაჯულების განხორციელებისას დანაშაულის ჩამდენ პირს არ ანიჭებს იმაზე მეტ შეღავათსა თუ სხვა უფლებრივ პრივილეგიას, რასაც კონსტიტუციის განხილულ ნორმებში ჩადებული სავალდებულო მინიმუმი ითვალისწინებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით სასამართლო არღვევს კონსტიტუციას, რადგან რეალურად შეუძლებელია არარსებული უფლებისა და ვალდებულების დარღვევა.